სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N261068289
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	06.08.2026 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**სოფიკო გობეჯიშვილი**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N 49, კვარტალი I, კორპუსი 3,ბინა N1**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 725310
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	02547399012826

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ოცდაექვსი წლის ექვს აგვისტოს ჩემთან, **ნოტარიუს სოფიკო გობეჯიშვილთან,** ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N49, კვარტალი I, კორპ. 3, ბინა N1, გამოცხადდა **ავთანდილ ტუღუში** (დაბ. 13.08.1986წ. პ/ნ **01002022205**, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. N 25 ბ. 120). მან წარმომიდგინა წინამდებარე **06.08.2026წ. მინდობილობა** და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე ქმედუნარიანობა შევამოწმე და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. ხელმომწერს ნოტარიუსის მიერ განემარტა, რომ ნოტარიუსი ადასტურებს მხოლოდ მის ხელმოწერის ნამდვილობას და ტექსტის შინაარსსა და სამართლებრივ შედეგებზე პასუხს არ აგებს. ამის შემდეგ მან პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე დოკუმენტს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური სულ: **12.08 (თორმეტი ლარი და რვა თეთრი) ლარი,** მათ შორის: 6 (ექვსი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერის №507 დადგენილების (სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ) 31.3 მუხლისა, 5 (ხუთი) ლარი - ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად ზემოხსენებული დადგენილების 39-ე მუხლისა და დღგ - 1.08 (ერთი ლარი და რვა თეთრი) ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა.

ნოტარიუსი **/სოფიკო გობეჯიშვილი/**

მინდობილობა

ქ. თბილისი 06.08.2026წ.

შპს „კუზანოვის კლინიკა“ (ს/ნ 202377178), წარმოდგენილი მისი დირექტორის ავთანდილ ტუღუშის სახით, წინამდებარე მინდობილობით ანიჭებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას: იოსებ სიდონაშვილს (პ/ნ 01032000219, დაბ: 26.09.1972) (შემდგომში — რწმუნებული“), წარმოადგინოს შპს „კუზანოვის კლინიკის“ ინტერესები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურში, პეკინის ქ. №5-ში მდებარე შენობის ფასადის განახლების პროექტთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში.

რწმუნებული უფლებამოსილია:

1. წარმოადგინოს მარწმუნებელი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურში და განახორციელოს აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი ადმინისტრაციული მოქმედება;

2. წარადგინოს, მიიღოს, გამოითხოვოს და ჩააბაროს საპროექტო, არქიტექტურული და სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია;

3. შეიტანოს განცხადებები, წერილები და სხვა სახის კორესპონდენცია, ასევე მიიღოს შესაბამისი პასუხები, შეტყობინებები და ადმინისტრაციული დოკუმენტები;

4. გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით;

5. წარადგინოს დაზუსტებული, დამატებითი ან შესწორებული დოკუმენტაცია;

6. ხელი მოაწეროს განცხადებებს, თანდართულ დოკუმენტებსა და სხვა საჭირო ფორმებს;

7. განახორციელოს მერიაში შესაბამის ელექტრონულ სისტემებში დოკუმენტების წარდგენა და ადმინისტრაციული პროცედურებისთვის აუცილებელი სხვა მოქმედებები;

8. მიიღოს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გამოცემული გადაწყვეტილებები, ცნობები, წერილები და სხვა დოკუმენტები;

9. განახორციელოს ყველა სხვა აუცილებელი მოქმედება, რომელიც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება წინამდებარე მინდობილობის მიზნის შესრულებას.

წინამდებარე მინდობილობა ძალაშია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურში აღნიშნულ ფასადის განახლების პროექტთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების სრულად დასრულებამდე, მათ შორის შესაბამისი გადაწყვეტილების/ადმინისტრაციული აქტის მიღებისა და ჩაბარების ეტაპის ჩათვლით.

მარწმუნებელი:

შპს „კუზანოვის კლინიკა“

ს/ნ 202377178

დირექტორი: ავთანდილ ტუღუში ----------